„დამტკიცებულია"

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის

აკადემიური საბჭოს სხდომაზე

დადგენილება № 82(18/19)

07.08.2019წ.

ცვლილებები განხორციელებულია აკადემიური საბჭოს სხდომაზე

დადგენილება № 25(21/22)

7 თებერვალი 2022 წ.

რექტორი: _____ როლანდ კოპალიანი

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება

საკონტაქტო ინფორმაცია :
ქუთაისი, თამარ მეფის ქ. #59.

პროგრამის ხელმძღვანელი :
გიორგი ფურცხვანიძე
ტელ: 599 – 41 – 25 – 47;
E-mail: gia58-58@mil.ru

ქუთაისი

2022 წ.

1. **ჩარჩო დოკუმენტის სახელწოდება, რომლის საფუძველზეც შეიქმნა პროგრამა:** ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა და სპეცდანიშნულების ავტოტრანსპორტის სერვისი / Vehicles Body and Special Purpose Techniques Service

2. **ჩარჩო დოკუმენტის სარეგისტრაციო ნომერი, რომლის საფუძველზეც შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა:** 07119-3

3. **მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე** - საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია მსუბუქი ავტომობილის შეკეთებაში / Basic Vocational Qualification in Vehicle Repair (კვალიფიკაციის კოდი, 0716)

აღნიშნული კვალიფიკაცია განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორის ISCED-ის მიხედვით აღნიშნული კვალიფიკაცია განეკუთვნება დეტალურ სფეროს - ძრავიანი ტრანსპორტი, გემები და საჰაერო ხომალდები, კოდი - 0716, აღმწერი - „შეისწავლის ძრავიანი ტრანსპორტის (მ.შ. დედამიწაზე მოძრავი მანქანები და სასოფლო - სამეურნეო მანქანები, გემები, მატარებლები, საჰაერო ხომალდები) დაპროექტებას, განვითარებას, წარმოებას, ექსპლუატაციას, ხარვეზების დიაგნოსტიკას, რემონტსა და მომსახურებას. ამ სფეროსთვის ჩვეულებრივია ლითონის სტრუქტურისა და ძრავების შესწავლის კომბინირება."

4. **პროგრამის მიზანი:** პროგრამის მიზანია მოამზადოს მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, რომლებიც ახდენს სატრანსპორტო სფეროში ავტომობილების დაიგნოსტირებას, აღდგენითი სამუშაოების ჩატარებას, მოდერნიზებასა და შეკეთებას.

5. **დაშვების წინაპირობა:** საბაზო განათლება

6. **დასაქმების სფერო და შესაძლებლობები:** მსუბუქი ავტომობილის შეკეთებაში საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს ავტომობილის სამუხრუჭე სისტემის ტექნიკოსად, ძრავას მექანიკოსად (საავტომობილო ტრანსპორტი), ძრავას ავტოსერვისის მექანიკოსად, ელექტრიკოსად, სავალი ნაწილის მექანიკოსად, დიაგნოსტიკოსად.

- ეკონომიკური საქმიანობების სახეების ეროვნული კლასიფიკატორის კოდები: 45.2; 45.20; 45.20.0
- დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორის (ISCO) კოდი: 7231.

7. **სტრუქტურა და მოდულები**

საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია მსუბუქი ავტომობილის შეკეთებაში - მოიცავს 6 ზოგად მოდულს ჯამური **17** კრედიტის რაოდენობით, 6 საერთო პროფესიულ მოდულს ჯამური **17** კრედიტის რაოდენობით, 4 პროფესიულ მოდულს ჯამური **10** კრედიტის რაოდენობით და კონცენტრაციის - ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება - 14 მოდულს ჯამური **38** კრედიტის რაოდენობით. საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებისათვის პირმა უნდა დააგროვოს **82** კრედიტი.

მოდულის, ქართული ენა A2 გავლა სავალდებულოა მხოლოდ არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის, აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულით.

- პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის - **82** კრედიტი
- პროგრამის ხანგრძლივობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის - **14** სასწავლო თვე
- პროგრამის მოცულობა არაქათულენოვანი სტუდენტებისთვის -**97** კრედიტი
- პროგრამის ხანგრძლივობა არაქაუთლენოვანი სტუდენტებისთვის - **17** სასწავლო თვე

ზოგადი მოდულები		
№	მოდულის დასახელება	კრედიტი
1	ინფორმაციული წიგნიერება 1	3
2	ინტერპერსონალური კომუნიკაცია	3
3	მეწარმეობა 1	2
4	რაოდენობრივი წიგნიერება	2
5	ინგლისური ენა	4
6	სამოქალაქო განათლება	3
	ჯამი	17

საერთო პროფესიული მოდულები		
№	მოდულის დასახელება	კრედიტი
7	გაცნობითი პრაქტიკა	2
8	ავტოსატრანსპორტო საშუალებების კლასიფიკაცია	2
9	ზოგადი ელექტროტექნიკის საფუძვლები	4
10	საზეინკლო საქმის საფუძვლები	
11	შრომის უსაფრთხოება და გარემოს დაცვა	3
12	დამკვეთთან ურთიერთობა	2
	ჯამი	17

პროფესიული მოდულები		
13	ტრანსმისიის კლასიფიკაცია	2
14	დაკიდების სისტემის საჭით მართვის და სამუხრუჭე სისტემის კლასიფიკაცია	3
15	ტექნიკური უცხო ენა და სიმბოლოები	2
16	შიდაწვის ძრავების კლასიფიკაცია	3
	ჯამი	10

კონცენტრაცია - სავალი ნაწილის შეკეთება - მოდულები		
17	ავტომობილის სამუხრუჭე სისტემის ელექტრონული მართვის სერვისი	3
18	ავტომატური და ვარიატორული გადაცემათა კოლოფების ელექტრონული სისტემების სერვისი	3
19	ბენზინსა და აირის საწვავზე მომუშავე ძრავას ელექტრონული ანთების სისტემის სერვისი	3
20	გათბობა-კონდიცირების ელექტრული და ელექტრონული სისტემების სერვისი	3
21	დაკიდების ელექტრონული მართვის სისტემის სერვისი	2
22	დამუხტვა - გაშვების სისტემის სერვისი	2
23	სარჩილავი სადგურის გამოყენება	1
24	ელექტროტექნიკური ნახაზების წაკითხვა	4
25	საჭის მექანიზმის ელექტრონული მართვის სისტემების სერვისი	2
26	ძრავას ჰაერით და საწვავით კვების ელექტრული და ელექტრონული სისტემების სერვისი	4
27	ძრავას შეზეთვა-გაგრილების ელექტრონული სისტემის სერვისი	2
28	უსაფრთხოებისა და გატაცების საწინააღმდეგო სისტემების სერვისი	3
29	ელექტრო და ჰიბრიდული ავტომობილების სერვისი	4
30	მექანიკურ გადაცემათა კოლოფების, გადაბმულობის და გამანაწილებელი კოლოფების ელექტრონული მართვის სისტემის სერვისი	2

ჯამი	38
სულ	82

8. მისანიჭებელი კვალიფიკაციების შესაბამისი სწავლის შედეგები:

კურსდამთავრებულს შეუძლია:

საერთო სწავლის შედეგები:

1. მოახდინოს სატრანსპორტო საშუალებების, დაკიდების სისტემის საჭით მართვისა და სამუხრუჭე სისტემების, ტრანსმისიის და შიგა წვის ძრავების კლასიფიცირება
2. შეარჩიოს სათადარიგო ნაწილები
3. დაიცვას საგზაო მოძრაობის წესები
4. ჩაატაროს ზოგადი ელექტროტექნიკური და ელექტრონული გაზომვები
5. წარმართოს საქმიანობა შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვითი წესების გათვალისწინებით
6. წარმართოს დამკვეთთან ეფექტური კომუნიკაცია.

სწავლის შედეგები მსუბუქი ავტომობილის შეკეთების მიმართულებით:

1. მოახდინოს დაკიდების, სჭით მართვის, სამუხრუჭე სისტემის კლასიფიკაცია
2. წაიკითხოს და გაანალიზოს ბლოკ-სქემები და პრინციპული სქემები
3. მოახდინოს ავტოსატრანსპორტო საშუალებების, გადაცემათა კოლოფების, წამყვანი ხიდების და მათი ამძრავების კლასიფიკაცია მუშაობის პრინციპის მიხედვით
4. მოახდინოს შიგაწვის ძრავების კლასიფიკაცია აგებულების, ცილინდრების განლაგების, საწვავის ტიპების და ჰაერის მიწოდების სისტემის მიხედვით.

სწავლის შედეგები კონცენტრაციისთვის „ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“ :

1. წაიკითხოს ელექტრონული ნახაზები
2. გამოიყენოს სარჩილავი სადგური
3. განახორციელოს საჭის მექანიზმის ელექტრონული მართვის სისტემების სერვისი
4. განახორციელოს ძრავას ჰაერით და საწვავით კვების ელექტრონული სისტემების სერვისი
5. განახორციელოს ძრავას შეზეთვა-გაგრილების ელექტრონული სისტემების სერვისი
6. განახორციელოს უსაფრთხოებისა და გატაცების საწინააღმდეგო სისტემების სერვისი.

9. ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტს ჩარჩო დოკუმენტის ,, ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა და სპეცდანიშნულების ავტოტრანსპორტის სერვისი “ საფუძველზე შემუშავებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლოპროგრამა ,, მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“

10. სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება

პირს კრედიტი მიენიჭება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე, რომელიც შესაძლებელია:

ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით;

ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.
არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.
განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.
განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:
ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.
განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს/მსმენელს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება.
შეფასების მეთოდი/მეთოდები რეკომენდაციის სახით მოცემულია მოდულებში.
ჩარჩო დოკუმენტი მოდულების, სწავლის შედეგებისა და თემატიკის კომპონენტებში ითვალისწინებს რვა საკვანძო კომპეტენციის განვითარებას (მშობლიურ ენაზე კომუნიკაცია; უცხო ენაზე კომუნიკაცია; მათემატიკური კომპეტენცია; ციფრული კომპეტენცია; დამოუკიდებლად სწავლის უნარი; პიროვნებათშორისი, კულტურათაშორისი, სოციალური და მოქალაქეობრივი კომპეტენციები; მეწარმეობა და კულტურული გამომხატველობა), რომლებიც მნიშვნელოვანია პროფესიონალი და კონკურენტუნარიანი კადრის აღზრდისთვის. რვა საკვანძო კომპეტენციიდან ერთ-ერთი - მშობლიური/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ძირითადი ენის განვითარების მიზნით, თითოეული პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ სწავლება-სწავლის პროცესში უნდა შეფასდეს ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარი, კერძოდ, მართლწერისა და მართლმეტყველების წესების დაცვა შემდეგი კომპეტენციების ფარგლების გათვალისწინებით:

მართლმეტყველება

- საუბრის/პრეზენტაციის დროის ლიმიტის დაცვა;
- სათანადო პროფესიული ლექსიკის გამოყენება;
- მოსაზრების ჩამოყალიბება გასაგებად, ნათლად და თანამიმდევრულად;
- ადეკვატური მაგალითებისა და არგუმენტების მოყვანა;
- ზეპირი მსჯელობისთვის დამახასიათებელი არავერბალური საშუალებების ადეკვატურად გამოყენება (მაგ., ჟესტიკულაცია, ინტერვალი საუბარში, ხმის ტემბრის ცვალებადობა).

მართლწერა

- საკავშირებელი სიტყვების სწორად გამოყენება;
- ძირითადი სასვენი ნიშნების (წერტილი, კითხვისა და ძახილის ნიშნები) სწორად გამოყენება;
- პროფესიული ლექსიკის სათანადოდ გამოყენება;
- წერისას ტიპობრივი სტილისტური ხარვეზების აღმოფხვრა;
- არ უნდა იქნეს გამოყენებული ენისთვის არაბუნებრივი შესიტყვებები და ლექსიკა - ბარბარიზმები, ჟარგონები;
- ინფორმაციის გადმოცემა თანამიმდევრულად, გასაგებად, შესასრულებელი აქტივობის შესაბამისად.

11. პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება

პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრეროგატივაა. საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ,, მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება" განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული **82** კრედიტი

12. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია მე - 11 პუნქტით გათვალისწინებული წესით.

დანართი 1. - სასწავლო გეგმა.

დანართი 2. - სასწავლო გარემო და მატერიალური რესურსი.

დანართი 3. - განმახორციელებელი პირები (პროფესიული განათლების მასწავლებლები).

დანართი 4. - პროგრამის შემადგენელი მოდულები, მათ შორის ქართული ენის მოდული.